ხელფასის ხარჯი	7,694,245	3,651,393
მოცდენის და ზეგანაკვეთური ხარჯი	766,905	378,727
რემონტის ხარჯი	632,333	500,137
საკონსულტაციო და პროფესიული ხარჯი	308,045	127,304
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	302,242	-
ცვეთა და ამორტიზაცია	285,685	99,268
საგადასახადო ხარჯი	204,265	42,631
იჯარის ხარჯი	166,535	298,332
მარაგის ჩამოწერის ხარჯი	144,858	-
საოფისე ხარჯი	132,177	82,322
კომუნიკაციის ხარჯი	131,060	69,752
წარმომადგენლობითი ხარჯი	98,016	2,960
ბანკის საკომისიო ხარჯი	78,179	54,257
კომუნალური ხარჯი	51,331	32,020
დაზღვევის ხარჯი	47,798	30,613
სამივლინებო ხარჯი	20,663	16,683
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	12,099	17,673
საწვავის ხარჯი	5,069	7,977
სხვა ხარჯი	457,766	332,236
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11,539,271	5,744,285

8. საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება, წმინდა

საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება, წმინდა 2023 და 2022 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(265,423)	568,954
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	883,192	1,353,553
მიღებული სესხები	124,421	(607,823)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	(417,692)	(138,591)
სულ საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება, წმინდა	324,498	1,176,093

შპს ინვესტ გრუპ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

9. არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, წმინდა

არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი, წმინდა 2023 და 2022 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
არასაოპერაციო შემოსავლები		
საჯარიმო თანხის ანაზღაურება	29,191	144,263
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	56,725	31,918
არასაოპერაციო ხარჯები		
ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილი უზუსტობები	(212,778)	(20,911)
ჯარიმა	(53,135)	(22,992)
ზიანის ანაზღაურება	(41,058)	-
უსასყიდლო მიწოდება	(6,780)	(23,477)
სხვა	(45,246)	(8,277)
სულ არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	(273,081)	100,524

შპს ინვესტ გრუპი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 1 იანვრისთვის შეადგენს:

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ჯამი
2022 წლის 1 იანვარი	-	-	1,342,207	69,230	-	4,373,193	-	5,784,630
შემოსვლა	597,303	5,413,259	2,330,763	707,563	-	2,587,699	89,292	11,725,879
გასვლა	-	-	(54,329)	(6,820)	-	(851,704)	-	(912,853)
2022 წლის 31 დეკემბერი	597,303	5,413,259	3,618,641	769,973	-	6,109,188	89,292	16,597,656
შემოსვლა	41,815	1,191,045	1,484,334	682,412	2,513,751	594,413	43,164	6,550,934
გასვლა	-	-	(48,317)	(26,850)	-	(402,928)	-	(478,095)
გადაანგარიშების ეფექტი	-	-	-	(4,096)	-	-	-	(4,096)
2023 წლის 31 დეკემბერი	639,118	6,604,304	5,054,658	1,421,439	2,513,751	6,300,673	132,456	22,666,399
-								
დაგროვილი ცვეთა	-							
2022 წლის 1 იანვარი	-	-	162,811	25,110	-	751,300	-	939,221
წლის ცვეთა	-	113,219	289,991	103,197	-	597,983	-	1,104,390
გასული ძირითადების ცვეთა	-	-	(296,321)	(9,038)	-	(52,381)	-	(357,740)
გადაანგარიშების ეფექტი	-	-	-	581	-	-	-	581
2022 წლის 31 დეკემბერი	-	113,219	156,481	119,850	-	1,296,902	-	1,686,452
წლის ცვეთა	-	291,172	527,901	257,451	-	674,296	26,567	1,777,387
გასული ძირითადების ცვეთა	-	-	(30,745)	(20,453)	-	(247,722)	-	(298,920)
გადაანგარიშების ეფექტი	-	-	-	(1,294)	-	-	-	(1,294)
2023 წლის 31 დეკემბერი	-	404,391	653,637	355,554	-	1,723,476	26,567	3,163,625
-								
ნარჩენი ღირებულება	-							
2022 წლის 1 იანვარი	-	-	1,179,396	44,120	-	3,621,893	-	4,845,409
2022 წლის 31 დეკემბერი	597,303	5,300,040	3,462,160	650,123	-	4,812,286	89,292	14,911,204
2023 წლის 31 დეკემბერი	639,118	6,199,913	4,401,021	1,065,885	2,513,751	4,577,197	105,889	19,502,774

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებების ღირებულება 2023, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს შესაბამისად 19,722 ლარს, 151,421 ლარს და 5,939 ლარს.

შპს ინვესტ გრუპი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

11. მარაგები

მარაგები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 1 იანვრისთვის შედგება:

	31/12/2023	31/12/2022	1/1/2022
ნედლეული და მასალები	4,027,628	3,295,009	496,317
მზა პროდუქცია	3,885,255	1,267,811	-
დაუმთავრებელი წარმოება	510,961	47,793	-
წარმოებაზე დარიცხული ხარჯების ტრანზიტული ანგარიში	-	627	26,620
სპეცტექნიკა	219,125	-	-
საწვავი	64,955	49,419	43,309
სხვა	760,619	201,318	48,599
სულ მარაგები	9,468,543	4,861,977	614,845

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 1 იანვრისთვის შედგება:

	31/12/2023	31/12/2022	1/1/2022
სავაჭრო მოთხოვნები	3,575,716	993,420	678,804
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	221,213	14,833	6,544
გაუფასურების რეზერვი	(302,242)	-	-
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	3,494,687	1,008,253	685,348
გაცემული ავანსები	2,754,940	562,006	89,348
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,249,627	1,570,259	774,696

2023 და 2022 წლების მდგომარეობით ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი შეადგენს:

	2023	2022
წლის დასაწყისში	-	-
გაუფასურების ხარჯი	302,242	-
წლის ბოლოს	302,242	-

13. საგადასახადო აქტივი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან ჯგუფმა გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდიტ, რომელიც გამოიყენება ყველა გადასახადისთვის. შედეგად, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჯგუფი საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს წარადგენს ნეტო საფუძველზე როგორც აქტივს 2023, 2022 და 2021 წელს, შესაბამისად 1,366,226, 79,520 და 25,460 ლარის ღირებულებით.

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 1 იანვრისთვის შედგება:

	31/12/2023	31/12/2022	1/1/2022
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	551,760	1,073,687	64,673
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	185,048	403,554	591,885
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	7,409	13,078	13,974
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	1,194	36,262	3,370
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	745,411	1,526,581	673,902

15. კაპიტალი

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კაპიტალის ნაშთი შედგება შესაბამისად: 809,746 ლარი, 710,154 ლარი და 1,010 ლარი.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით არსებული კაპიტალის ნაშთი მოიცავს ჯგუფის მფლობელისგან საბაზროზე დაბალი პროცენტით მიღებული სესხიდან სარგებელს, კერძოდ კი სხვაობას სესხის სამართლიან და საბალანსო ღირებულებას შორის. 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ამ თანხებმა შეადგინა 808,393 და 708,801 ლარი შესაბამისად.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შედგება:

	31/12/2023	31/12/2022	1/1/2022
სავაჭრო ვალდებულებები	13,246,893	6,209,963	2,494,889
მიღებული ავანსები	1,831,549	1,580,078	270,257
გადასახდელი ხელფასები	710,942	236,604	29,311
საიჯარო ვალდებულებები	-	121,370	565,774
სხვა ვალდებულებები	-	25	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,789,384	8,148,040	3,360,231

შპს ინვესტ გრუპ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

17. მიღებული სესხები

კონტრაგენტი	ვალუტა	სესხის აღების თარიღი	საწყისი დაფარვის ვადები	განახლებული დაფარვის ვადები	საპროცენტო განაკვეთი	31/12/2023	31/12/2022	1/1/2022
სს საქართველოს ბანკი	ლარი	1-დეკ-22	1-დეკ-27	-	რეფ განაკვეთს + 3% (არანაკლებ 14%-ისა)	1,119,020	1,308,290	-
სს საქართველოს ბანკი	ლარი	30-დეკ-22	13-დეკ-27	-	რეფ განაკვეთს + 3% (არანაკლებ 14%-ისა)	109,762	130,000	-
სს საქართველოს ბანკი	ლარი	12-იან-23	13-თებ-23	11-იან-24	რეფ განაკვეთს + 2.75% (არანაკლებ 13%-ისა)	2,073,207	-	-
სს საქართველოს ბანკი	ლარი	28-თებ-23	28-თებ-28	-	რეფ განაკვეთს + 3% (არანაკლებ 14%-ისა)	1,763,589	-	-
სს საქართველოს ბანკი	ლარი	3-მაი-23	3-მაი-28	-	რეფ განაკვეთს + 3% (არანაკლებ 14%-ისა)	460,508	-	-
სს საქართველოს ბანკი	ლარი	27-ივნ-23	27-ივნ-28	-	რეფ განაკვეთს + 3% (არანაკლებ 13.5%-ისა)	1,395,298	-	-
სს საქართველოს ბანკი	ლარი	25-იან-23	25-იან-24	-	რეფ განაკვეთს + 3% (არანაკლებ 14%-ისა)	1,002,137	-	-
სს საქართველოს ბანკი	ევრო	6-ივნ-22	8-ივნ-26	-	6 თვიან ეურიბორის განაკვეთს დამატებული 6.75% (არანაკლებ 6.75%-ისა)	2,100,613	2,700,322	-
სს საქართველოს ბანკი	ევრო	28-ოქტ-22	28-ნოე-22	12-იან-23	6 თვიან ეურიბორის განაკვეთს დამატებული 6.75% (არანაკლებ 6.75%-ისა)	-	1,442,200	-
სს საქართველოს ბანკი	აშშ დოლარი	21-აპრ-23	22-აპრ-30	-	6 თვიან Term SOFR განაკვეთს დამატებული 7% (არანაკლებ 8%-ისა)	1,275,833	-	-
შპს ციტადელი	ლარი	16-სექ-22	16-მარ-23	16-სექ-24	14%	633,540	556,540	-
შპს ციტადელი	ლარი	18-ოქტ-22	18-აპრ-23	18-ოქტ-24	14%	57,595	50,595	-
შპს ციტადელი	ლარი	21-ოქტ-22	21-აპრ-23	21-ოქტ-24	14%	11,519	10,119	-
შპს ციტადელი	ლარი	28-ნოე-22	28-მაი-23	28-ნოე-24	14%	23,038	20,238	-
შპს ციტადელი	ლარი	5-სექ-22	5-მარ-24	5-სექ-24	14%	633,540	556,540	-
შპს ციტადელი	ლარი	6-ოქტ-22	6-აპრ-24	6-ოქტ-24	14%	287,974	252,973	-
შპს ციტადელი	ლარი	20-ოქტ-22	20-აპრ-24	20-ოქტ-24	14%	34,557	30,357	-
შპს ციტადელი	ლარი	29-ნოე-22	29-მაი-24	29-ნოე-24	14%	17,278	15,178	-
შპს ციტადელი	ლარი	5-იან-23	5-ივლ-23	5-იან-25	14%	45,539	-	-
შპს ციტადელი	ლარი	18-იან-23	18-ივლ-24	18-იან-25	14%	28,337	-	-
შპს ციტადელი	ლარი	3-თებ-23	3-აგვ-24	3-თებ-25	14%	169,399	-	-
შპს ციტადელი	ლარი	18-მაი-23	18-ნოე-24	18-მაი-25	14%	1,081,545	-	-
ტარიელ ცუცქერიძე	ლარი	27-მაი-22	27-მაი-25	-	0%	2,235,317	1,682,268	-

შპს ინვესტ გრუპ

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

17. მიღებული სესხები (გაგრძელება)

კონტრაგენტი	ვალუტა	სესხის აღების თარიღი	საწყისი დაფარვის ვადები	განახლებული დაფარვის ვადები	საპროცენტო განაკვეთი	31/12/2023	31/12/2022	1/1/2022
LOAN AGREEMENT 18/12	აშშ დოლარი	18-დეკ-2023	17-ივნ-2024	-	9%	484,738	-	-
LOAN AGREEMENT 20/11	აშშ დოლარი	20-ნოე- 2023	20-მაი-2024	-	9%	242,369	-	-
Bank of Georgia Loan	ევრო	30-დეკ-2022	27-დეკ-2024	-	6%	893,936	863,387	-
Citadel LTD Georgia	აშშ დოლარი	15-თებ-2022	3-იან-2023	-	9%	-	364,023	-
Citadel LTD Georgia	აშშ დოლარი	16-დეკ-2022	3-იან-2023	-	9%	-	121,341	-
ხელშეკრულება N GCLCA000586755-8433382	ევრო	23-იან-2023	22-ივნ-2026	-	10.32%	546,586	718,197	-
ხელშეკრულება # 8920592	ევრო	23-იან-2023	29-დეკ-2023	-	7.93%	208,271	201,908	-
ხელშეკრულება # 8873690	ევრო	23-იან-2023	5-თებ-2024	-	11.5%	20,003	-	-
ხელშეკრულება N 9613104	ევრო	11-სექ-2023	20-სექ-2027	-	9.54%	311,116	-	-
სესხი 8172419 (60000 ევრო)	ევრო	8-აპრ-2021	8-აპრ-2024	-	5.5%+ეურიბორის განაკვეთი	104,670	142,972	-
სესხი 8433420 (300000 ევრო)	ევრო	27-ივნ-2022	26-ივნ-2027	-	6.4%+ეურიბორის განაკვეთი	656,301	790,510	-
სესხი 7661634 (150000 დოლარი)GE002OT	აშშ დოლარი	19-ოქტ-2021	18-ოქტ-2024	-	7%	121,043	257,625	441,393
სესხი 8789698 (60000 დოლარი)	აშშ დოლარი	14-ნოე-2022	15-ნოე-2027	-	6.8%+ლიბორი	134,436	160,080	-
სესხი 6851510 GE025OT	აშშ დოლარი	18-სექ-2020	18-სექ-2022	-	7.2%+Libor	-	-	121,680
სესხი 7160666 (50000 ევრო)	ევრო	8-აპრ-2021	8-აპრ-2024	-	5.5%+ეურიბორის განაკვეთი	17,865	67,044	138,734
სესხი 8857792 (65000 დოლარი)	აშშ დოლარი	8-დეკ-2022	8-დეკ-2027	-	7%+ეურიბორის განაკვეთი	148,623	175,630	-
სესხი 9023633 (330000 ევრო)	ევრო	10-მაი-2023	8-მაი-2028	-	5.5%+ეურიბორის განაკვეთი	893,678	-	-
სესხი 9973081 (დოლარი)	აშშ დოლარი	14-დეკ-2023	30-იან-2024	-	9.3%	269,077	-	-
						21,611,857	12,618,337	701,807
სესხის ძირი						20,853,029	12,473,607	701,807
გადასახდელი პროცენტი						758,828	144,730	-

შპს ინვესტ გრუპი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

17. მიღებული სესხები (გაგრძელება)

სესხების მოძრაობა	2023	2022
1 იანვრის მდგომარეობით	12,618,337	701,807
ძირის გადახდა	(4,403,148)	(1,332,870)
სესხის აღება	12,556,637	13,675,729
პროცენტის გადახდა	(1,417,380)	(303,492)
საპროცენტო ხარჯი	2,232,205	448,218
სუბსიდია - პროცენტის თანადაფინანსება	(200,728)	-
გადაანგარიშების ეფექტი	(39,489)	(2,101)
საკურსო სხვაობის ეფექტი	265,423	(568,954)
31 დეკემბრის მდგომარეობით	21,611,857	12,618,337

18. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია ცხილებში:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	სხვა დაკავშირებული მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	784,210	-	784,210
სავაჭრო ვალდებულებები	3,074,682	1,105,224	4,179,906
მიღებული სესხები	(2,296,753)	(2,235,317)	(4,532,070)

სრული შემოსავლის ანგარიშგება	სხვა დაკავშირებული მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
შემოსავალი	15,640,193	-	15,640,193
შემენილი მარაგების თვითღირებულება	4,874,051	-	4,874,051
შემენილი ძირითადი საშუალებების ღირებულება	193,945	-	193,945
მიწოდების ხარჯები	26,852	707,306	734,158
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	53,375	146	53,521
ფინანსური ხარჯი	316,321	266,840	583,161
ხელფასები და სხვა სარგებელი	-	413,974	413,974

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	სხვა დაკავშირებული მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	551,730	-	551,730
სავაჭრო ვალდებულებები	2,421,814	8,406	2,430,220
მიღებული სესხები	(1,007,174)	(1,682,268)	(2,689,442)

სრული შემოსავლის ანგარიშგება	სხვა დაკავშირებული მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
შემოსავალი	11,775,346	-	11,775,346
შემენილი მარაგების თვითღირებულება	1,120,566	-	1,120,566
შემენილი ძირითადი საშუალებების ღირებულება	84,007	80,000	164,007
მიწოდების ხარჯები	38,534	230,413	268,947
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	574,489	8,923	583,412
ფინანსური ხარჯი	70,013	101,069	171,082
ხელფასები და სხვა სარგებელი	-	335,391	335,391

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 აგვისტოს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას:

- ჯგუფმა 2023 წლის 31 დეკემბრის შემდგომ პერიოდში აიღო 31,982,076 ლარის სასესხო ვალდებულება და დაფარა 22,335,668 ლარი.

გარდა ზემოთაღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომლებიც მოითხოვს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

20. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები რომლებიც გამოყენებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა პერიოდზე, თუ სხვა რამ არაა მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს, მათ შორის კაპიტალის ინსტრუმენტებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები:

	USD	EUR
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2022 წლის 1 იანვრისთვის	3.0976	3.5040

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკან დაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებებით და მსგავსი ანარჩებებით.

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ჯგუფი მყიდველს გადასცემს პროდუქციას საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლების საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა, მასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშო პერიოდის ბოლოს; და

დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება

კომპანია გარიგების ან ხელშეკრულების დასრულების ეტაპს განსაზღვრავს იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც ყველაზე საიმედოდ განსაზღვრავს შესრულებულ სამუშაოს: საანგარიშგებო თარიღისათვის გაწეული ფაქტიური დანახარჯების დაბიუჯეტებულ დანახარჯებთან შეფარდების პროპორციით. გაწეული ხარჯები არ მოიცავს სამომავლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს, როგორცაა მასალები ან წინასწარი გადახდები. როდესაც გაწეული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის საიმედოდ შეფასება ვერ ხერხდება, შემოსავლები აღიარდება იმ მოცულობით, რა მოცულობის ანაზღაურებადი ხარჯებიცაა გაწეული საანგარიშგებო თარიღისათვის.

20. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანია წარმოადგენს მარწმუნებელს მომხმარებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში და ამონაგებს აღიარებს მთლიანი ანაზღაურებით, გარდა რწმუნებულის ოპერაციებისა, როდესაც იგი უზრუნველყოფს

სერვისების მიწოდებას მესამე მხარის საშუალებით. ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული რეალიზაციები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზეა წარდგენილი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისა და დაქირავებით მომუშავეთაგან.

საოპერაციო იჯარა

როდესაც ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს ისეთ საიჯარო ხელშეკრულებებში, რომლის დროსაც ჯგუფს არ გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველანაირი რისკი და სარგებელი, იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში იჯარის მთლიან ვადაზე, დარიცხვის წრფივი მეთოდით. საიჯარო ვადა წარმოადგენს იმ არაგაუქმებად პერიოდს, რომლისთვისაც გაფორმებულია ხელშეკრულება იმ პერიოდთან ერთად რომლისთვისაც მოიჯარეს აქვს უფლება გააგრძელოს აქტივის იჯარა დამატებითი გადასახდელებით ან მათ გარეშე იმ შემთხვევაში, რომ ხელშეკრულების დადებისას მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გამოიყენებს აღნიშნულ უფლებას. ჯგუფს არ აქვს შეუქცევადი იჯარები.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს რომლებიც არ იბეგრება, ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში. ჯგუფის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოქმედებდა ან ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება როდესაც მოხდება ვალდებულებასთან დაკავშირებული მოვლენები. ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვლენები წარმოადგენენ მოვლენებს, რომლებიც წარმოშობენ გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გაანგარიშებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია როგორც აქტივები.

ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯებს, რაც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის საშუაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა. შესაბამისი ვალდებულება აღიარებულია ანარიცხებში.

შემდგომი დანახარჯები ჩაითვლება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა აღნიშნული ხარჯის გაწევა.

20. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივის ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ მაშინ, როდესაც ის იმყოფება იმ ადგილას და ისეთ პირობებში, რომელიც აუცილებელია მისი გამოყენებისთვის იმ სახით, როგორც ხელმძღვანელობას ჰქონდა განზრახული. ცვეთა არ წყდება აქტივის მწყობრიდან გამოსვლის ან არ გამოყენების შემთხვევაში, მანამ, სანამ იგი სრულად

არ იქნება ამორტიზებული. ცვეთა ერიცხება აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ჯგუფი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის:

სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)	
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	3-10
სატრანსპორტო საშუალებები	3-15
მიწა	არ იცვითება
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ იცვითება

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება ყოველ საანგარიშო პერიოდში, რათა შეფასდეს საბალანსო ღირებულება აღემატება თუ არა შესაბამისი აქტივის აღდგენით ღირებულებას. აღდგენითი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და აქტივის

გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებას, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და ჩაირთვება საოპერაციო ხარჯებში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის, გადამამუშავების და სხვა დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებებით. მარაგი შემდგომ ფასდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულების და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯები.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტიანი სესხები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მომენტიდან, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით მიმდინარე ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება გამოითვლება

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასის მიხედვით. სავაჭრო მოთხოვნები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვის შექმნის საჭიროება წარმოიშობა მაშინ როდესაც ობიექტური მტკიცებულება, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს ამ თანხების სრულად მიღებას თავდაპირველი გადახდის პირობების მიხედვით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

20. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. სავაჭრო ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა, კაპიტალში კონტრიბუციისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები

ანარიცხის აღიარება ხდება, როდესაც საწარმოს საანგარიშგებო თარიღისთვის აქვს ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენის შედეგად; მოსალოდნელია, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გასვლა საწარმოდან; და შესაძლებელია ვალდებულების სიდიდის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის ოდენობას წარმოადგენს იმ თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც მოსალოდნელია, რომ საჭირო იქნება ვალდებულების დასაფარად, რომელიც განისაზღვრება დაბეგვრამდე განაკვეთით და ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებსა და ვალდებულებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ რისკებს. ანარიცხის ზრდა დროის პერიოდის გასვლის გამო აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ანარიცხის აღიარება არ ხდება სამომავლო საოპერაციო ზარალებისთვის.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას.

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე;

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები;
- ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა.
- ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;
- ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი.

20. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- პირი, ნახსენები (ა) (i) პუნქტში, ფლობს მნიშვნელოვან ხმის მიცემის უფლებას
- პირს, ნახსენები (ა) (ii) პუნქტში, აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა
- პირი, რომელსაც გააჩნია ორივე, როგორც მნიშვნელოვანი ხმის მიცემის უფლება, ასევე კონტროლის.
- უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრს აქვს კონტროლი ამ საწარმოზე.

შპს ინვესტ გრუპ

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

სარჩევი

1.	ზოგადი მიმოხილვა.....	1
2.	კომპანიის შესახებ	1
3.	კომპანიის ძირითადი საქმიანობა	1
4.	შვილობილი კომპანიების ზოგადი მიმოხილვა	2
5.	სამომავლო გეგმები.....	3
6.	რისკ ფაქტორები.....	3
7.	კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	4
8.	ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	4
9.	ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:.....	4

შპს ინვესტ გრუპი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი მიმოხილვა

წარმოდგენილი ანგარიში მოიცავს კომპანიის საქმიანობას, მომსახურების სტანდარტებს, მიღწევებსა და სამომავლო მიზნებს. ამასთან ერთად, წარმოდგენილია ის რისკები და შემაფერხებელი ბერკეტები, რომლებსაც კომპანიის მენეჯმენტის მხრიდან დიდი ყურადღება ეთმობა.

ანგარიშის მიზანია, მოგაწოდოთ როგორც ზოგადი ინფორმაცია შპს ინვესტ გრუპის საქმიანობის, ასევე კომპანიის ზრდისა და დასახული მიზნების მისაღწევად განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

ინვესტ გრუპის წარმოდგენს ჰოლდინგურ კომპანიას, რომელშიც გაერთიანებულია 5 კომპანია:

შპს ჯეოტექნიქსი


შპს ვეგა

შპს ადლი

შპს ცოტადელი სომხეთი

შპს პალატი.

ჯგუფში 2023 წლის მდგომარეობით დასაქმებულია 539 ადამიანი, ხოლო 2022 წელს დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენდა 301 თანამშრომელს.



2. კომპანიის შესახებ

კომპანია ინვესტ გრუპი დაარსდა 2017 წელს. კომპანიამ განვითარება დაიწყო 2021 წლიდან და დღესდღეობით მომხმარებლებს სთავაზობს 3 ძირითად მომსახურებას: ფინანსურს, ადმინისტრაციულსა და კომერციულს. უკვე 2022 წლიდან კომპანიის მხრიდან აქტიური ყურადღება დაეთმო პროგრამულ უზრუნველყოფასაც.

3. კომპანიის ძირითადი საქმიანობა

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფინანსური, ადმინისტრაციული და კომერციული მომსახურება.

შპს ინვესტ გრუპი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ფინანსური მომსახურება მოიცავს ფინანსურ კონსულტაციებს, რეპორტებისა და სტატისტიკური რეპორტებისთვის ბაზების უზრუნველყოფასა და სისწორეს, ასევე დასრულებული რეპორტების ანალიზსა და შემოწმებას.

2. ადმინისტრაციული მომსახურება მოიცავს: იურიდიულ მომსახურებას, ობიექტებზე შრომის უსაფრთხოების კონტროლს, საწყობების მართვასა და სხვა ადმინისტრაციულ საკითხებს. კომპანიის ქვეშ არსებული კომპანიები ამ მომსახურებას სრულყოფილად იღებენ და უნდა ითქვას, რომ ყველა ზემოთ ხსენებული სერვისში შეცდომები მინიმუმამდეა დაყვანილი.

3. კომერციული საკითხები მოიცავს კომერციულ კონსულტაციებს. პროექტების მომგებიანობის ანალიზს ფინანსურ განყოფილებამდე, სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში მონაწილეობასა და გადაწყვეტილების მიღებამდე მთლიანი პროექტის ანალიზს. ასევე კომპანია აქტიურად ერთვება ბაზრის ანალიზში და ამ ანალიზზე დაყრდნობით სამომავლო გეგმების ფორმირებაში.

როგორც აღვნიშნეთ, კომპანიამ 2022 წლიდან შექმნა პროგრამული უზრუნველყოფის ჯგუფი, რომელიც ამჟამად აერთიანებს 6 პროგრამისტს. პროგრამული განყოფილება დღესდღეობით კლიენტებს სთავაზობს ყველანაირი სახის მენეჯერული პროგრამის დანერგვას, რომელიც იწერება ვებ პლატფორმაზე.

4. შვილობილი კომპანიების ზოგადი მიმოხილვა

შპს ინვესტ გრუპში გაერთიანებულია 5 კომპანია, რომელთა საქმიანობა წარმოადგენს შემდეგს:

5. შპს ჯეოტექნიკსი დაკავებულია ადგილობრივ ბაზარზე შიდა სატრანსპორტო გადაზიდვებით. ასევე აქტიურად ჩაერთო მძიმე ტექნიკის გაქირავებაში. 2022 წლიდან შპს ჯეოტექნიკსს დაემატა ახალი მიმართულება, რომელიც დღეს უკვე საკმაოდ წარმატებულია და შემოსავალში მიღებაში დიდ როლს თამაშობს. ესაა მძიმე ტექნიკის გაყიდვები. უნდა აღინიშნოს, რომ გასაყიდი ტექნიკა დღეს უფრო მრავალფეროვანია ვიდრე წინა წელს და ყოველ წელს ახალი სახეობის ტექნიკა ემატება. სამომავლოდ იგეგმება ტექნიკის სრული სერვისი და მომსახურების დანერგვა.
6. შპს ვეგა ახორციელებს საერთაშორისო გადაზიდვებს, რომელიც აერთიანებს სრულ ლოჯისტიკურ მომსახურებას. კომპანიის სფეროებს წარმოადგენს: საკონტეინერო, სარკინიგზო და სახმელეთო გადაზიდვები. დღეს ვეგას ბაზაში უკვე საკმაოდ ბევრი კმაყოფილი მომხმარებელია და ეს ბაზა ყოველთვიურად იმატებს. შპს ვეგას გააჩნია საკუთარი ავტოპარკი, რომელიც აქტიურადაა ჩართული სახმელეთო გადაზიდვებში. სამომავლოდ იგეგმება სპეციფიკური ტვირთის გადამზიდი ავტოპარკის დამატება, ასევე სატვირთო ტექნიკის ნაწილების ყიდვა/გაყიდვა.
7. შპს ადლი ბაზარზე უკვე წლებია ოპერირებს და ბალანსზე უკვე საკმაოდ ბევრი წარმატებული პროექტი აქვს. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კარკასული მშენებლობა, თუმცა სხვა მომსახურებებსაც დიდი წილი უკავია ესენია:
 - a. ამწეები, სამგზავრო და სატვირთო ლიფტები, კალათები მონტაჟი/დემონტაჟი
 - b. მეტალის ნაკეთობების დამზადება
 - c. უსაფრთხოების სისტემები, ხარაჩო, ყალიბები
 - d. რემონტები
 - e. ბლოკის მოწყობა
 - f. ჰიდროიზოლაცია
 - g. არქიტექტურა, დიზაინი, ავეჯი
 - h. გეოდეზია

უნდა აღინიშნოს, რომ ადლი მშენებლობას აწარმოებს უახლესი გერმანული ტექნოლოგიით, რაც მშენებლობას უფრო უსაფრთხოს და ხარისხიანს ქმნის. ამის შედეგად, ადლი ბაზარზე საკმაოდ მოთხოვნილია.

8. ციტადელი სომხეთი დაკავებულია სომხეთში საცალო საბითუმო ვაჭრობით. ოპერირება სულ 2 წელია რაც დაიწყო, მაგრამ უკვე ბაზარზე საკმაოდ ბევრი მომხმარებელი დააგროვა. ასევე დაემატა სხვადასხვა გასაყიდი სასაქონლო კატეგორიები, აქტიურად ვითარდება ამწე-საყალიბის კატეგორიაც. მომავალში იგეგმება არმატურის და სხვა სასაქონლო კატეგორიების დამატება. კომპანიის ზრდასთან ერთად იზრდება თანამშრომელთა რაოდენობაც. იზრდება განყოფილებები და სხვადასხვა მიმართულებები. ერთ-ერთი ასეთი არის საინჟინრო მიმართულება, რომელიც კლიენტებს სთავაზობს სრულ საინჟინრო მომსახურებას.
9. შპს პალატი დაკავებულია წარმოების პროცესით. იგი აწარმოებს სხვადასხვა სახეობის ფანერას. ეს ფანერა ძირითადად გათვლილია საერთაშორისო ბაზრისთვის.

5. სამომავლო გეგმები.

დღესდღეობით ჩვენი კლიენტები არიან უმეტესად ჩვენივე შვილობილი კომპანიები, მაგრამ ყველა არსებული კომპანიის პროფილი არის განსხვავებული, შესაბამისად, ინვესტ გრუპის თანამშრომლებმა დააგროვეს უნიკალური გამოცდილება ყველა ამ სფეროში. ეს სფეროებია: საცალო-საბითუმო ვაჭრობა, საერთაშორისო გადაზიდვები, ადგილობრივი გადაზიდვები და ტექნიკის გაქირავება, წარმოება, მშენებლობა. კომპანია დიდ გამოცდილებას ფლობს ასევე იურიდიულ საკითხებში. ყველა ამ სფეროში გამოცდილება დაგროვილია კონკრეტული სიტუაციებიდან და შემთხვევებიდან გამომდინარე. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამისტების ჯგუფმა დაწერა პროგრამა კომპანია ციტადელში, რომელიც მოიცავს ისეთ მოდულებს, რომლებმაც ადამიანური შეცდომა მინიმუმამდე დაიყვანა და რიგ შემთხვევაში დამატებითი კადრების საჭიროება აღმოფხვრა. მაგალითისთვის ესეთი მოდულებია: საიჯარო მოდული, სასაწყობო მოდული, HR მოდული, შეკვეთების მოდული, რომელშიც გაერთიანებული კომერციული, ფინანსური და ადმინისტრაციული სამსახური. ასევე დაწერგლია გაყიდვების გუნდის სხვადასხვა სტატისტიკური მოდულები.

ინვესტ გრუპის მიზანია ბაზარზე გასვლა და ყველა ამ გამოცდილებისა და მომსახურების შეთავაზება სხვა კომპანიებზე. ამჟამად კომპანია ამატებს გაყიდვების თანამშრომელს, რომელიც ამ სერვისებს შეთავაზებს სხვა კომპანიებს. ასევე აქტიურად მიმდინარეობს მარკეტინგული აქტივობები ცნობადობის ასამაღლებლად.

სამომავლოდ ასევე აქტიურად მიმდინარეობს სხვა სერვისების დამატება და ბაზრისთვის შეთავაზება. ერთ - ერთი ასეთია სერვერის ადმინისტრატორი, რომელიც საკმაოდ მოთხოვნილია ბაზარზე. იგეგმება მობილური აპლიკაციების დაწერგვაც.

6. რისკ ფაქტორები

რისკების მართვა წარმოადგენს კომპანიის სტრატეგიის კრიტიკულად მნიშვნელოვან საყრდენს, ვინაიდან მოსალოდნელმა დაბრკოლებებმა და გაურკვევლობებმა შესაძლოა, უარყოფითი გავლენა

შპს ინვესტ გრუპი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

იქონიოს ორგანიზაციის შედეგებზე, ფინანსურ მდგომარეობასა და სამომავლო გეგმებზე. კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. საქმიანობის პროცესში წამოჭრილ რისკებს, კომპანია მათი დროულად აღმოჩენისა და პრევენციის მექანიზმებით უმკლავდება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს: პროცედურებს, მონიტორინგს, შეზღუდვებს, ანალიზს, ავტომატიზაციას და სხვადასხვა სახის აუდიტს.

7. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2023 წელს კომპანიას არ განუხორციელებია სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები.

8. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია თავისი საკუთარი აქციები და აგრეთვე არ ფლობს სხვა კომპანიის აქციებს.

9. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები:

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია კომპანიის 2023 და 2022 წლების ფინანსური მონაცემები:

	2023	2022
შემოსავალი	67,471,122	24,287,014
საოპერაციო ზარალი	(384,355)	(2,218,946)
სულ აქტივები	37,333,064	22,949,541
სულ კაპიტალი	(68,177)	2,183,164
სულ ვალდებულებები	37,401,241	20,766,377

კომპანიის ფინანსური კოეფიციენტები 2023 და 2022 წლების მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
მთლიანი მოგების მარჟა	21.9%	16.4%
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	69.8%	67.8%
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	32.7%	26.8%

მთლიანი მოგების მარჟა - მარჟა, რომელიც განსაზღვრავს რამდენად მომგებიანია კომპანია საკუთარი პროდუქტისა და მომსახურების რეალიზაციის ჭრილში. როგორც მონაცემებიდან ჩანს, გაზრდილია კოეფიციენტი, რაც შეგვიძლია დავუკავშიროთ ჯგუფის საოპერაციო საქმიანობის გაზრდას 2023 წელს 2022 წელთან შედარებით.

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი - ზომავს კომპანიის უნარს მიმდინარე აქტივებით გადაიხადოს მიმდინარე ვალდებულებები. რაც უფრო მაღალია ეს კოეფიციენტი, უკეთესია ორგანიზაციის ლიკვიდურობის პოზიცია.

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი - ზომავს კომპანიის შესაძლებლობას დააკმაყოფილოს მოკლევადიანი ვალდებულებები ყველაზე ლიკვიდური აქტივებით.


როგორც მონაცემებიდან ჩანს ორივე კოეფიციენტი გაუმჯობესებულია 2023 წელს 2022 წელთან შედარებით, რაც ამყარებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას.

შპს ინვესტ გრუპი

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)



ჯგუფის აქტივების 36.55% დაფინანსებულია საქართველოს ბანკის გრძელვადიანი კრედიტებით, რომლის დადგენილ კოვენანტებსაც კომპანია იცავს სტაბილურად.

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 30 აგვისტოს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ირაკლი შეყილაძე

ფინანსური მენეჯერი


ბექა ბეჭკაია

შპს ინვესტ გრუპ

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მაჩვენებლები



ჯგუფის აქტივების 36.55% დაფინანსებულია საქართველოს ბანკის გრძელვადიანი კრედიტებით, რომლის დადგენილ კოვენანტებსაც კომპანია იცავს სტაბილურად.

კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება გამოშვებულია დასამტკიცებლად 2024 წლის 30 აგვისტოს და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

ირაკლი შეყილაძე

ფინანსური მენეჯერი

ბექა ბეჭვია